შეთანხმება

ქ.ქუთაისი „17“ თებერვალი 2014 წ.

ჩვენ, 2014 წლის 30 იანვარს დადებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვის №020 ხელშეკრულების მხარეები, ერთის მხრივ, სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ჯაყელის სახით (შემდგომში „ შემსყიდველად“ წოდებული) და მეორეს მხრივ შპს „აია ტექსტილი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ შალამბერიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული) ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ჩვენს შორის 2014 წლის 30 იანვარს დადებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვის №020 ხელშეკრულება შეწყდეს და შესაბამისად გაუქმდეს 2014 წლის 05 თებერვალს მხარეებს შორის გაფორმებული 2014 წლის 30 იანვარს დადებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვის №020 ხელშეკრულებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი მხაღეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის, ამ უკანასკნელის გაფორმების შემდეგ შესყიდულ საქონელში, კერძოდ, მიმწოდებლის მიერ დამზადებულ სავიზიტო ბარათებში გამოვლენილი უზუსტობის გამო

2. შესაბამისად არ მოხდეს მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების ღირებულების, კერძოდ 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა შემსყიდველის მხრიდან.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ,,შემსყიდველთან", ერთი კი ,,მიმწოდებელთან" და წარმოადგენს 2014 წლის 30 იანვარს დადებული საქონლის სახელმწიფო შესყიდვის №020 ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

4. შეთანხმება ძალაშია 2014 წლის 17 თებერვლიდან.

„შემსყიდველი“

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის
დირექტორი: ---------- /ქეთევან ჯაყელი/

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „აია ტექსტილი“
დირექტორი: ---------- /ზურაბ შალამბერიძე/

ბ.ა.